კონფერენცია თემაზე : საზოგადოებრივი აზრის ისტორია -

საქართველო XIX – XX საუკუნე, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბავშვო უნივერსიტეტი საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებისთვის აცხადებს კონფერენციას თემაზე: „საზოგადოებრივი აზრის ისტორია - საქართველო XIX – XX საუკუნე, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“

კონფერენციის მონაწილეებმა უნდა წარმოდგინონ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთაგან ერთერთის: ს.დოდაშვილი, ი.კერესელიძე, დ.ყიფიანი, ი.ჭავჭავაძე, ნ.ნიკოლაძე, ნ.ლორთქიფანიძე, ს.მესხი, გ.წერეთელი, ა.ჯორჯაძე, კ.აბაშიძე, ნ.ჟორდანია, ივ.ჯავახიშვილი - პუბლიცისტური წერილები, რომლებიც იმდორინდელ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა.

კონფერენციის მიზანია მოსწავლემ მიიღოს ინფორმაცია მე-19 საუკუნის ქართული ისტორიული სოციალური, პოლიტიკური და კულტურული მდგმომარეობის შესახებ. მოსწავლეებს მოეთხოვებათ მე-19 საუკუნის გამოჩენილი საზოგადო მოღაწეების პუბლიცისტური წერილების მოძიება, მათი ანალიზი და ანოტაციასთან ერთად ელექტრონული მასალის სახით წარმოდგენა, კონფერენციის დროს კი აუდიტორიის წინაშე პრეზენტირება. თემაზე მუშაობის პროცესში მოსწავლე განავითარებს კვლევის და კრიტიკული ანალიზის უნარს და შესძლებს მიღებული ინფორმაციის პრეზენტაციას აუდიტორიის წინაშე.

საკონფერენციოდ წარმოდგენილი თემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- აკრეფილი იყოს word-ის ფაილში
- შრიფტი - sylfaen
- სათაურის შრიფტის ზომა 14
- ტექსტის შრიფტის ზომა 12
- თემას უნდა ახლდეს მოკლე ანოტაცია (არა უმეტეს 500 სიტყვისა), სადაც განხილული იქნება თემაში წარმოდგენილი ძირითადი საკითხები
- საკონფერენციო თემას ავტორის გარდა შეიძლება ჰყავდეს ერთი თანაავტორი
- საკონფერენციო თემას უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი
- სატიტულო გვერდზე უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
  ა) თემის სათაური
  ბ) ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი
  გ) თემის ხელმძღვანელის სახელი და გვარი
  დ) სკოლის სრული დასახელება (რაიონი, სოფელი, დაბა და ა.შ.), კლასი
  ე) საკონტატქო ინფორმაცია : ტელეფონი და ელექტრონული მისამართი.

- ელექტრონულ მისამართზე გამოგზავნილი შეტყობინების საინფორმაციო ველში მითითებული უნდა იყოს: კონფერენციის სათაური და სკოლის სრული დასახელება

- თემის პრეზენტაცია - 10წთ. პრეზენტაციის ფორმა - power point.

კონფერენციის ვადები:

- მონაწილემ თემის სატიტულო გვერდი უნდა გამოგზავნოს 19-დან - 25 ოქტომბრის ჩათვლით ელ. მისამართზე junior@tsu.ge.
- თემები განხილული იქნება 26-დან 28 ოქტომბრის ჩათვლით, პასუხი ეცნობება მონაწილეს.
- კონფერენციის მასალის სრული ელ.ვარიანტის გამოგზავნის ბოლო ვადაა 22 ნოემბერი, 24.00სთ.
- კონფერენცია გაიმართება 28 ნოემბერს, შაბათს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში, უწყვეტი განათლების ცენტრის შენობაში 13:00 სთ-ზე.

კონფერენციის მონაწილეებს და ხელმძღვანელებს გადაეცემათ სერტიფიკატები.

ნაშრომები ელექტრონულად გამოქვეყნდება საბავშვო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე junior.tsu.edu.ge

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით

junior@tsu.ge

Facebook.com/თსუ საბავშვო უნივერსიტეტი